1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

2

თეგერვალი

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ცოდნა“
თბილისი—1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1756—საშუალო სკოლებში უახლესი ისტორიის კურსის შესწავლის შემოღების შესახებ 3
2. Приказ № 1756—О введении в средних школах курса новейшей истории 5
3. ბრძანება № 1759—ამომრჩეველთა მიერ შეტანილი განაწესებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ 7
4. ბრძანება № 1804/797-0—ლოგოპედიური დახმარების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 10
5. ბრძანება № 1826—ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ 12
6. ბრძანება № 1848—საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ 17
7. ბრძანება № 1850—ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ 21
8. ბრძანება № 1853—ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 23
9. ბრძანება № 1860—ახმეტის რაიონის სოფ. დუისისა და ოჟიოს საშუალო სკოლებში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ 28
10. ბრძანება № 1864—ქ. ქუთაისის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 31
11. ბრძანება № 1867—ქ. თბილისის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 36
12. ბრძანება № 1868—ქ. ქუთაისის სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 47
13. ბრძანება № 1872—ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ 52

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

გადაეცა წარმოებას 6/II-58 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-58 წ., ანაწყობის ზომა 6×9½, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5, სააღრიცხვო—3,31, საავტორო—3,19.

შეკვ. № 206 ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1756

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 9 დეკემბერი

საშუალო სკოლებში უახლესი ისტორიის კურსის შესწავლის შემოღების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ამჟამად მსოფლიო ისტორიის სწავლება საშუალო სკოლაში ძირითადად მე-9 კლასში მთავრდება. საზღვარგარეთული ქვეყნების უკანასკნელი ორმოცი წლის ზოგიერთ მოვლენას მოსწავლეები ეცნობიან მე-10—11 კლასებში, მაგრამ უახლესი ისტორიის სისტემატური შესწავლა ჯერ კიდევ არ სწარმოებს. ეს იწვევს ისტორიული განათლების დაუმთავრებლობასა და უსრულობას. ამ საგანს დიდი საგანმანათლებლო და საალმზრდელო მნიშვნელობა აქვს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევარში საქართველოს სსრ სკოლების X—XI კლასებში შემოღებულ იქნეს უახლესი ისტორიის სწავლება.

2. 1957/58 სასწავლო წელს უახლესი ისტორიის შესასწავლად დაწესდეს შემდეგი თემატიკა: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება — ახალი ისტორიული ერის დასაწყისი (3 საათი), საზღვარგარეთული ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ნიშნები 1924 — 1939 წლებში (6 საათი), მეორე მსოფლიო ომი (4 საათი), მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განმტკიცება (4 საათი), იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა (4 საათი), მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (5 საათი), ორი ხაზის ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო პოლიტიკაში. ხალხთა მოძრაობა მშვიდობისა (3 საათი). მიზანშეწონილია დასკვნით მეცადინეობას დაეთმოს ერთი საათი.

საათების ეს განაწილება საკვარაუდოა.

3. მიმდინარე სასწავლო წელს უახლესი ისტორია შესწავლილ იქნეს სსრ კავშირის ისტორიის კურსიდან თემის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის" გავლის შემდეგ. უახლესი ისტორიის კურსის დამთავრების შემდეგ გაგრძელდეს სსრ კავშირის ისტორიის კურსის შესწავლა, შეიძლება ამ ორი კურსის პარალელურად სწავლებაც.

4. უახლეს ისტორიას მიმდინარე სასწავლო წელს დაეთმოს X და XI კლასებში თითოეულს 30 სასწავლო საათი: X კლასში ისტორიაში გასავლელი თემებისათვის განკუთვნილი დროის შემჭიდროებისა და განმეორებისათვის დათმობილი საათების ხარჯზე; IX კლასში—17 საათი, რომელიც დაგეგმილია წლის მეორე ნახევარში სსრ კავშირის კონსტიტუციისათვის და სასწავლო გეგმით დათმობილი ჰქონდა ფიზიკასა და ქიმიას და 13 საათი სსრ კავშირის ისტორიის გასამეორებლად გათვალისწინებული საათების ხარჯზე.

5. მიმდინარე წელს უახლესი ისტორიის სწავლება სწარმოებდეს ძირითადად ლექციური წესით. ამ საგნის საკითხები საგამოცდო ბილეთებში არ იქნას შეტანილი.

6. ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციამ (ამხ. გ. თავაძე) იანვრის ნომერში მოათავსოს სპეციალისტთა წერილები ისტორიის მასწავლებელთა დასახმარებლად უახლეს ისტორიაში შესასწავლ შვიდივე თემაზე.

7. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ ისტორიის მასწავლებელთა დასახმარებლად მოათავსოს სტატიები უახლესი ისტორიის სწავლების შინაარსისა და მეთოდიკის საკითხებზე.

8. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და ამ ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალებმა მოაწყონ ზამთრის არდადეგების პერიოდში 5—7 დღიანი სემინარები უახლესი ისტორიიდან ამ ბრძანებაში მითითებულ თემატიკაზე; ამისათვის გამოიყენონ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები; უზრუნველჰყონ მასწავლებელთათვის ლექციებისა და კონსულტაციების სისტემატურად ჩატარება უახლეს ისტორიაში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 1756

по Министерству просвещения Грузинской ССР

9 декабря 1957 г.

О введении в средних школах курса новейшей истории

Отмечаю, что в настоящее время изучение всеобщей истории в средней школе заканчивается в основном в 9-ом классе. С некоторыми событиями из жизни зарубежных стран последнего сорокалетия учащиеся знакомятся в 10—11 классах, систематического же изучения новейшей истории до сих пор не было. Это приводило к незавершенности и неполноте исторического образования. Этот предмет имеет большое образовательное и воспитательное значение.

Приказываю:

1. Ввести во втором полугодии текущего учебного года преподавание новейшей истории в X—XI-х классах школ Грузинской ССР.

2. На 1957/58 учебный год для изучения новейшей истории установить следующую тематику: Победа Великой Октябрьской социалистической революции — начало новой исторической эры (3 часа). Основные черты экономического и политического развития зарубежных стран в 1924—1939 годах (6 часов). Вторая мировая война (4 часа). Образование и укрепление мировой социалистической системы (4 часа). Распад колониальной системы империализма (4 часа). Главные капиталистические страны после второй мировой войны (5 часов). Борьба двух линий в международной политике. Движение народов за мир (3 часа). На заключительное занятие рекомендуется отвести один час.

Приведенное распределение часов является примерным.

3. В текущем учебном году новейшую историю изучать после изложения темы „Великая Отечественная война Советского Союза“ из курса истории СССР. По окончании курса новейшей истории продолжить изучение истории СССР. Возможно и параллельное прохождение этих двух курсов.

4. На новейшую историю в текущем учебном году в X—XI-х классах отвести по 30 учебных часов в каждом: в X-м классе за счет уплотнения часов, отведенных на прохождение тем истории, а также за счет времени, отведенного на повторение; в XI-ом классе—17 часов за счет времени, которое запланировано на изложение Конституции СССР во втором полугодии и учебным планом было отведено физике и химии и 13 часов за счет времени, отведенного на повторение.

5. Преподавание новейшей истории в этом году в основном будет лекционным. В экзаменационные билеты вопросы по этому предмету не включаются.

6. Редакции журнала „Комунистури агзрдисатвис“ (тов. Г. Тавадзе) поместить в январском номере журнала в помощь преподавателям истории статьи специалистов по всем семи намеченным к прохождению темам новейшей истории.

7. Редакции газеты „Сахалхо ганатлеба“ в помощь преподавателям истории поместить статьи о содержании и методике преподавания новейшей истории.

8. Институту усовершенствования учителей и его Кутаисскому и Сухумскому филиалам в период зимних каникул организовать семинары по новейшей истории длительностью в 5—7 дней по тематике новейшей истории, предложенной приказом; привлечь для проведения семинаров преподавателей высших учебных заведений, обеспечить регулярное проведение для учителей лекций и консультаций по новейшей истории.

Министр просвещения Грузинской ССР

Г. Н. Джибладзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1759

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 9 დეკემბერი, ქ. თბილისი

ამომრჩეველთა მიერ შეტანილი განაწესებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 8 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით გამორკვეულია, რომ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები და განათლების სამინისტროს სხვა დაწესებულებები სათანადო ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა მიერ შეტანილი განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეს, რის შედეგადაც მეტად სასარგებლო მუშაობაა ჩატარებული სკოლებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად და პოლიტექნიკური სწავლების გასაუმჯობესებლად.

ამომრჩეველთა წინადადებების საფუძველზე ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯის კოლმეურნეობამ ამავე სოფლის საშუალო სკოლას აუშენა 11 საკლასო ოთახისაგან შემდგარი შენობა. სკოლის ძირითად შენობას გაუკეთა კაპიტალური რემონტი, ხოლო ამ შენობას სახელოსნოსათვის მიუშენა 108 კვ. მეტრი ფართობის ორი ოთახი. ამის შედეგად მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გადავიდა ერთ ცვლიან მეცადინეობაზე.

იმავე რაიონის ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დააკმაყოფილა საბჭოს დეპუტატების ამომრჩეველთა წინადადება და შვიდწლიან სკოლას გადასცა კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიანი, 18 ოთახიანი კაპიტალური შენობა. ფიზკულტურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზით და კლუბით. ამჟამად სკოლაში სწავლა სწარმოებს ორ ცვლად.

გერანის საბჭოთა მეურნეობამ დააკმაყოფილა ამომრჩეველთა თხოვნა და ოჩამჩირის რაიონის სოფ. კამიშის რუსულ შვიდწლიან სკოლას გადასცა 10 ოთახი, რითაც სკოლის მუშაობის პირობები არსებითად გაუმჯობესდა.

ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეში გარკვეული წარმატებები აქვთ ცხაკაიას, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ტყიბულის აბაშის ახმეტის, გურჯაანის რაიონების და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებებს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული რაიონების განათლების განყოფილებები ამომრჩეველთა განაწესებსა და წინადადებებს ყოველთვის არ ეკიდებიან საჭირო ყურადღებით, რის გამოც ამომრჩეველთა მთელი რიგი წინადადებები, როგორიცაა ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე საბავშვო ბაღის შენობის აშენება, ოჩამჩირის რაიონის სოფ. კვიტაურის ტომიშის დასახლების პუნქტის შვიდწლიანი სკოლისათვის ამავე სოფლის კოლმეურნეობის კანტორის შენობის და ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარის საშუალო სკოლისათვის კოლმეურნეობის კანტორის შენობის გადაცემა, ქ. ცხაკაიას სტალინის სახ. კოლმეურნეობის ყოფ. შენობაში ქალაქის მეორე დაწყებითი სკოლის მოთავსება, ქუთაისის რაიონის სოფ. საყულიის საშუალო სკოლის შენობაზე საკლასო ოთახების მიშენება და სხვა, დღემდე შეუსრულებელია.

ზოგიერთ განათლების განყოფილებას არა აქვს აღრიცხული ამომრჩეველთა წინადადებები, ამ საკითხებზე არ არიან დაკავშირებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანოებთან.

ვანიჭებ რა ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებას დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობა, მხარი დაუჭირონ დეპუტატთა ინიციატივას და აქტიური ზომები მიიღონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოყენებულ წინადადებათა განსახორციელებლად, რისთვისაც:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ ამომრჩეველთა წინადადებებისა და დეპუტატთა შუამდგომლობების შესრულებაზე;

ბ) ამომრჩეველთა ისეთი წინადადებების განსახორციელებლად, რომლებიც შეეხება სკოლებისათვის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის მოგვარება უშუალოდ განათლების ორგანოს არ შეუძლია, საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის მიმართონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. გ. საჯაია) პერიოდულად გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე განათლების ორგანოებში ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარუდგინონ ამ ბრძანების შესრულების შესახებ მოხსენებითი ბარათი 1958 წლის 1 აპრილისათვის.

4. მინისტრის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ ამ ბრძანების შესრულებაზე აწარმოოს სათანადო კონტროლი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 6 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1804/797-0

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 19 დეკემბერი

ლოგოპედიური დახმარების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ მოსახლეობისადმი ლოგოპედიური დახმარება ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი. არსებული ლოგოპედიური პუნქტები და კაბინეტები არ არის საკმარისი მეტყველების დეფექტის მქონე ბავშვთა გამოსასწორებლად. არაა სამკურნალო-სტაციონარები და საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღები, სკოლები) სმენადაქვეითებული და მეტყველებამოშლილი ავადმყოფებისა და ბავშვებისათვის. არ არის საკმარისი კადრები სპეციალისტ-ლოგოპედებისა.

რესპუბლიკაში ლოგოპედიური დახმარების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ვბრძანებთ:

1. 1958 წლის სექტემბრიდან ქ. თბილისის კალინინის, 26 კომისრის, ლენინის რაიონებში, სიღნაღში, რუსთავსა და სამტრედიაში გაიხსნას ლოგოპედიური პუნქტები.

დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) უზრუნველყოს აღნიშნული ლოგოპედიური პუნქტების სათანადო დაფინანსება.

2. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველომ (უფროსი ამხ. ი. გვერდწითელი):

ა) გაითვალისწინოს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ფაკულ-

ტეტის სასწავლო გეგმაში ლოგოპედიის საათები (პრაქტიკუმები);

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსა და კადრების განყოფილებასთან ერთად მოამზადოს საკითხი პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან დეფექტოლოგიის სექტორის გახსნის შესახებ.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი) სისტემატური დახმარება გაუწიოს ლოგოპედ-მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში და ამ მიზნით მოაწყოს ლოგოპედთათვის გადასამზადებელი კურსები.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩლაძე) უზრუნველყოს ლოგოპედების მივლინება ქ. ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

5. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (უფროსი დ. ჯავახია) 1958 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოს გამოსაცემად ლოგოპედიის სახელმძღვანელო.

6. დაევალოს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს (უფროსი ლ. გეგია);

ა) 1958 წელს გახსნას ლოგოპედიური კაბინეტი ქ. ქუთაისში ბავშვთა პოლიკლინიკასთან;

ბ) 1958 წელს ქ. თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოში ლოგოპედების საშტატო ერთეული განსაზღვროს მთელი განაკვეთით;

გ) 1958 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოს გამოსაცემად წიგნები ენაბლუობის და ბავშვებში მეტყველების დარღვევების საკითხებზე.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებთან შეიქმნას გაერთიანებული საუწყებათაშორისო კომისია ლოგოპედიის საკითხებზე შემდეგი შემადგენლობით: მ. ბურჭულაძე, გ. ახვლედიანი, გ. აბდუშელიშვილი, ზ. გაბაშვილი, ა. ჩარგეიშვილი, ლ. გეგია, ტ. უგულავა.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და სსრ განათლების სამინისტროების კოლეგიის 1957 წლის 17 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
დ. მამამთავრიშვილი	**გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1826

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ლენინის სახელობის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა.

ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ყველა სკოლაში მოსწავლეებისადმი ერთიანი, მაღალი პედაგოგიური მომთხოვნელობა სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

ადგილი აქვს სასკოლო დისციპლინის დარღვევის მრავალ შემთხვევას მე-12 (დირექტორი მ. სიხარულიძე), მე-5 (დირექტორი ვ. კაშია), მე-14 (დირექტორი გ. ცქიტიშვილი) საშუალო სკოლებში.

მოსწავლეთა მხრივ დისციპლინის დარღვევას ისიც უწყობს ხელს, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი მოუმზადებელი შედის გაკვეთილზე, რის გამო მოსწავლეებში არ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით (მე-14 საშუალო სკოლის არითმეტიკის მასწავლებელი გ. ი. სამსონია, მე-12 სკოლის ისტორიის მასწავლებელი ი. ხვედელიძე, მე-5 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი თ. ე. ცაგარელი).

რაიონის ზოგიერთ სკოლაში დიდია მოსწავლეთა მოძრაობა და ადგილი აქვს არასაპატიო მიზეზით სკოლიდან გასვლის შემთხვევებს. რაიონის სკოლებს გარეთ დარჩენილი 35 ბავშვი არც სხვა ტიპის სასწავლებელში სწავლობს და არც მუშაობს.

მოსწავლეთა დიდ მოძრაობას აქვს ადგილი მე-14, მე-10 (დირექტორი ნ. ბასილაშვილი), მე-7 (დირექტორი გ. ჩეჩელაშვილი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-4 (დირექტორი ა. ქურციძე) საშუალო სკოლების უფროს კლასებში. ამ სკოლებს ბევრი მეორეწლიანი მოსწავლე აკლია.

მე-14 საშუალო სკოლიდან გასული 82 მოსწავლიდან — 54 მეორეწლიანია; 17 მოსწავლე მუშაობს, მაგრამ არ სწავლობს, ხოლო არც მუშაობს და არც სწავლობს 6 მოსწავლე.

მე-5 საშუალო სკოლის 10 მოსწავლე არსად არ მუშაობს და არც სწავლობს, 13 მოსწავლე კი საკლასო ჟურნალებში ირიცხება, მაგრამ 2 სექტემბრიდან დღემდე სკოლაში არ გამოცხადებულა.

მე-13 საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. კვაჭაძე) განთესილია 9 მოსწავლე. განთესვის ერთეულ შემთხვევებს ადგილი აქვს სხვა სკოლებშიაც.

რაიონის სკოლებში 13873 მოსწავლიდან სასწავლო წლის I მეოთხედში ვერ ასწრებდა 3165 მოსწავლე. 892 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებდა 352 მოსწავლე. სწავლაში ჩამორჩება 5625 პიონერიდან 1293, ხოლო 1728 კომკავშირელი მოსწავლიდან 385.

შედარებით სუსტად იმუშავეს მეორეწლიან მოსწავლეებთან მე-5, მე-3, მე-7, მე-11, მე-9, მე-13, და მე-14 სკოლებმა.

მე-11 საშუალო სკოლის (დირექტორი მუჯირი) 70 მეორეწლიან მოსწავლიდან I მეოთხედში ვერ ასწრებდა 38 მოსწავლე, მე-5 საშუალო სკოლის 56 მეროეწლიანიდან 29 და ა. შ.

მ/სასწავლო წლის I მეოთხედი დაბალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს 99-ე მე-2, მე-8 და მე-12 საშუალო სკოლებმა.

მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ზ. სუხოვა) 630 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 133 მოსწავლე (24,2%). ამ სკოლის მე-8 კლასის 26 მოსწავლიდან სწავლაში ჩამორჩება 13 მოსწავლე.

დიდია რაიონის სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა.

მე-5 საშუალო სკოლაში გაცდენილი 18267 საათიდან 3505 საათი არასაპატიოა. ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 675 საათი, IV კლასის მოსწავლეების მიერ 896 საათი და ა. შ.

მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეების მიერ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი 3537 საათიდან მე-9 კლასის მოსწავლეებზე მოდის 496, მე-10 კლასზე 430 კლასის ხელმძღვანელები ე. არველაძე, ნ. საყვარელიძე) ასეთივე მდგომარეობაა მე-12 საშუალო სკოლაშიც.

მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის 14 მოსწავლემ (კლასის

ხელმძღვანელი რ. მგელაძე) ა/წ 10 ოქტომბერს დასტოვა გაკვეთილები.

აცდენენ და იპარებიან გაკვეთილებიდან ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები. 25 ოქტომბერს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს არ ესწრებოდა 8 მოსწავლე.

მე- 12 საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. სიხარულიძე) 11 ნოემბერს პირველ გაკვეთილზე დაგვიანებით გამოცხადდა 20 მოსწავლე: ამ სკოლის მე-11 კლასის კომკავშირელი მოსწავლე ნ. ბასილაშვილი იპარება გაკვეთილებიდან. ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის იგი დაპატიმრებული იყო. ბასილაშვილი აღდგენილ იქნა სკოლაში სკოლის დირექტორის მხრივ ყოველგვარი რეაგირების გარეშე.

ამავე სკოლის X კლასის კომკავშირელი მოსწავლე ფიცხელაშვილი მოსწავლისათვის სრულიად შეუფერებლად მოიქცა პრაქტიკუმის გაკვეთილზე (მასწავლებელი გვარამაძე). ამ სკოლის IV კლასის მოსწავლე ზადიშვილი შენიშნულია ქურდობაში.

იპარებიან და აცდენენ გაკვეთილებს მე-14 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები: გელბახიანი, ოჩიგავა, ბერაძე, ნანიტაშვილი და ხუციშვილი. სკოლის ხელმძღვანელობას ასეთი მოვლენების წინააღმდეგ არა აქვს გატარებული საჭირო ღონისძიებები.

სასწავლო წლის დასაწყისიდან 15 ნოემბრამდე მილიციის განყოფილებასთან არსებულ ბავშვთა ოთახების მუშაკების მიერ აღრიცხულია მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევის 63 შემთხვევა.

რაიონის ზოგიერთ სკოლაში არ სრულდება განათლების მინისტრის ბრძანება მილიციის მახლობლად არსებულ ბავშვთა ოთახებში მასწავლებელთა მორიგეობის შესახებ.

ბავშვთა ოთახების მუშაკებს ნაკლებ დახმარებას უწევენ მე-4 და მე-5 საშუალო სკოლების მასწავლებლები.

რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მოსწავლის ფორმის ტანსაცმლისა და ბილეთების ტარების საქმე. ა/წლის 5 ნოემბერს მე-13 საშუალო სკოლის მე-5 კლასის 20 მოსწავლეს არ აღმოაჩნდა მოსწავლის ბილეთი. მე-11 სკოლის 238 მოსწავლე არ ატარებს მოსწავლის ფორმის ტანსაცმელს.

მე-5 საშუალო სკოლის მე-7 და მე-11 კლასების 344 მოსწავლიდან 9 დეკემბერს მოსწავლის ბილეთი არ აღმოაჩნდა 64-ს, ხოლო 138 მოსწავლე გოგონადან ფორმის ტანსაცმელი არ ჰქონდა 33-ს, ვაჟებიდან კი უფროსი კლასების არც ერთ მოსწავლეს არ ეცვა ფორმის ტანსაცმელი.

ასეთივე მდგომარეობაა: მე-9, მე-4, მე-5, მე-11, მე-12, მე-14 საშუალო სკოლებში.

ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი სისტემატურად არ ამოწმებს მოსწავლეთა მიერ დღიურების ტარების, მასწავლებელთა მიერ დაწერილი ნიშნების საკლასო ჟურნალიდან მოსწავლეთა დღიურებში გადატანის მდგომარეობას.

მე-13 საშუალო სკოლის IV კლასის (ხელმძღვანელი ლ. სოსედკო) ჟურნალისა და მოსწავლეთა დღიურის ჩანაწერები არ შეესაბამებიან ერთმანეთს.

მე-5 საშუალო სკოლის მე-7 კლასის (ხელმძღვანელი ნ. ციხცაძე) მოსწავლე მ. მაჭავარიანის დღიურში არ არის ჟურნალიდან გადატანილი ნიშანი „2" გერმანულ ენაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ქართულ ენაში და რუსულში. ჟურნალში ჩაწერილ ნიშნებს არ იცნობს ბავშვის მშობელი. ასეთ შემთხვევებს სხვა სკოლებშიც აქვს ადგილი. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ასეთი მოვლენების წინააღმდეგ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს.

რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ს. ბიბილეიშვილი) ქმედითად ვერ მოჰკიდა ხელი სკოლებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე იშვიათად ისმება ალმზრდელობითი ხასიათის საკითხები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ სკოლებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 2 მარტის № 195 ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელად გატარება;

ბ) დაუყოვნებლივ დააყენონ საკითხი იმ პედაგოგთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკვეთილზე წესრიგის დამყარებას;

გ) ხშირად მოაწყონ ლექცია-მოხსენებები სკოლაში დისციპლინის განმტკიცების პედაგოგიური ხერხებისა და საშუალებების შესახებ;

დ) არ დაუშვან მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და დაგვიანება-გაპარვის შემთხვევები;

ე) ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერულ და კომკავშირულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებს წარჩინებული სწავლის და სანიმუშო ყოფაქცევის დანერგვის საქმეში მათი ავანგარდული როლის უზრუნველსაყოფად;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მშობელთა შორის. პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე პერიოდულად დააყენონ საკითხი იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდისადმი გულგრილობას და უპასუხისმგებლობას იჩენენ;

ზ) აღკვეთონ ბავშვთა ოთახებში მასწავლებელთა მორიგეობის შეუფასებლობა, მიაღწიონ იმას, რომ ყოველი პედაგოგი მორიგეობდეს დაწესებულ საათებში;

თ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიონ ის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად არღვევენ დისციპლინას და მათ მიმართ გაატარონ პედაგოგიური ზემოქმედების ღონისძიებანი.

2. ლენინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) სკოლების კომპლექსური შემოწმებისას სათანადო ყურადღება დაუთმოს დისციპლინის საკითხების შესწავლას.

ბ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე დრო და დრო მოისმინოს სკოლების დირექტორების მოხსენებანი დისციპლინის მდგომარეობაზე საკითხის წინასწარ შესწავლით და საჭირო ღონისძიებების დასახვით;

გ) შეისწავლოს მოწინავე კლასის ხელმძღვანელების და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება და მოახდინოს მათი განზოგადება;

დ) განიხილოს ეს ბრძანება რაიონის სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა აქტივის თათბირზე, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის არსებითად გასაუმჯობესებლად;

ე) ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ წერილობით მოახსენოს განათლების სამინისტროს 1958 წლის მარტში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 20 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1848

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 30 დეკემბერი

საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

ხელმძღვანელ ორგანოებში საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

წინა წლებთან შედარებით ერთგვარად შემცირდა სკოლებიდან გასულ და სწავლაში ჩაბმულ ბავშვთა რიცხვი, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც დიდია. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში 21 ათასზე მეტი ასეთი ბავშვი ითვლებოდა. ამათგან 15ათასამდე ბავშვი სწავლაში ჩაუბმელია არასაპატიო მიზეზით. განსაკუთრებით დიდია მოსაწვლეთა განთესვა ასპინძის, ლენტეხის, საჩხერის, ჩოხატაურის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სკოლებიდან.

მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან გასული სკოლებიდან შვიდკლასდაუმთავრებელი ბავშვები.

უმნიშვნელოდ უმჯობესდება გოგონების სწავლებაში ჩაბმის საქმე გარდაბნის და მარნეულის რაიონებში, სადაც ცალკეული სკოლების VIII—X კლასებში მოსწავლე გოგონების რიცხვი 6-დან 10%-დეა (გარდაბნის რაიონის სოფ. ქესალოს და მარნეულის რაიონის სოფ. სადახლოს საშუალო სკოლაში).

სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით განთესვა ბევრ შემთხვევაში გამოწვეულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დონეზე დაყენებით, მოსწავლეთა დაბალი წარმატებითა და მეორეწლიანობით.

1956—1957 სასწავლო წელს მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა იყო 74600 (12,2%), ამათგან 1957—1958 სასწავლო წლის დასაწყისისათვის არ გამოცხადდა სკოლაში 12000-ზე მეტი. ბევრი სკოლისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკები ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს მიმართავენ და სწავლაში ჩამორჩენილობის, მეორეწლიანობისა და ასაკგადაცილებულობის მოტივით მოსწავლეებს რიცხავენ სკოლებიდან.

განთესილ ბავშვთა და მოზარდთა მნიშვნელოვანი ნაწილი არც სწავლობს და არც მუშაობს.

ყველგან არაა შექმნილი სწავლებისათვის ნორმალური პირობები. ბევრი სკოლა ზამთრის განმავლობაში ძლიერ ცუდად თბება და უზრუნველყოფილი არ არის განათებით.

საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ინტერნატებს. მასში მოსწავლეთა ჩაბმის 1957 წლის გეგმა შესრულებული არაა. სასკოლო ინტერნატებში 6500 ბავშვის ნაცვლად 6056 ბავშვი ცხოვრობს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა ასპინძის, გარდაბანის, დუშეთის, ყაზბეგისა და ქარელის რაიონებში. ბევრ სასკოლო ინტერნატში არ არის შექმნილი მოსწავლეთა ნორმალური ყოფა-ცხოვრების ელემენტარული პირობები.

ჯერ კიდევ მცირეა სკოლებში რაოდენობა გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ჯგუფებისა, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეთა განთესვისა და ბავშვთა უმეთვალყურეობის ლიკვიდაციას.

ცუდად არის დაყენებული სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმე. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების მონაცემების მიხედვით რაიონის ყველა სკოლაში ჩაუბმელად ითვლება 7—15 წლის ასაკის 46 ბავშვი, შემოწმებით დადასტურდა, რომ მხოლოდ ორი სკოლის (მუხრანის და გალავნის საშუალო სკოლები) მიკრორაიონში სწავლების გარეშე დარჩენილია 23 ბავშვი. ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებას კი სრულებით არ გააჩნია სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა.

ხშირია მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-

რეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1957 წლის 7 ივნისს დამტკიცებული ინსტრუქციით და დაამყარონ სრული წესრიგი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში.

1958 წლის 10 იანვრამდე აღრიცხონ სკოლისგარეშე დარჩენილი ბავშვები და მოზარდები, მიიღონ ყოველგვარი ზომები სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისა და მოზარდის სწავლებაში ჩასაბმელად (მშობლებთან მუშაობა, შორეულ სკოლებში მოსწავლეების მანქანებით გადაყვანის ორგანიზაცია, სასკოლო ინტერნატებში გაგზავნა, დროებით ხელმოკლე ბავშვებზე დახმარება და სხვ.); უზრუნველყონ ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა;

ბ) მკაცრი ზომები მიიღონ იმ დირექტორების (გამგეების) წინააღმდეგ, რომლებიც უსაფუძვლოდ გარიცხავენ მოსწავლეებს სკოლებიდან და ვერ უზრუნველყოფენ საყოველთაო სწავლების განხორციელებას;

გ) დროულად მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა განთესვის თვითეულ შემთხვევაზე და გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლაში მათ დასაბრუნებლად; უზრუნველყონ გაკვეთილებზე მოსწავლეთა სისტემატური დასწრება;

დ) შეამოწმონ ზამთრისათვის სკოლების მზადყოფნის მდგომარეობა და საჭირო ზომები მიიღონ ყველა სკოლის სათბობით უზრუნველსაყოფად;

ე) მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედის დაწყებამდე მიიღონ ზომები გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ჯგუფების მოსაწყობად ქალაქის ყველა სკოლაში, სადაც ამ ჯგუფებისათვის მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტი იქნება;

ვ) გააძლიერონ სკოლებთან კავშირი და მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში სკოლების მიერ ჩასატარებელი სამუშაოების შესრულებაზე.

2. გარდაბნისა და მარნეულის განათლების განყოფილებებმა გოგონებთან და მათ მშობლებთან ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით მიაღწიონ შვიდწლიან და საშუალო სკოლებში გოგონებების სწავლების გაუმჯობესებას.

3. სკოლების დირექტორებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლიდან მოსწავლეთა გაფანტვის წინააღმდეგ, ინდივიდუალურ თავისებურებათა მტკიცე შესწავლის საფუძველზე უზრუნველყონ სწავლაში ჩამორჩენილების, მეორეწლიანებისა და კლასისათვის ასაკგადაცილებული მოსწავლეებისადმი სისტემატური დახმარება;

ბ) აამაღლონ პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობა მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების და საბჭოთა მოქალაქისათვის აუცილებელი მაღალი თვისებების აღზრდის საქმეში.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1958 წლის 15 თებერვლისათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

5. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) 1958 წლის 15 მარტამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 20 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1850

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 30 დეკემბერი

ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

1956/57 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას ჩამოშორდა 37 მოსწავლე, მათ შორის 7 მოსწავლე განითესა.

1957/58 სასწავლო წლის დასაწყისიდან 30 ნოემბრამდე სკოლას ჩამოშორდა 9 მოსწავლე. აქედან არასაპატიო მიზეზით გავიდა სკოლიდან 3 მოსწავლე (მათ შორის ერთი მეორეწლიანია).

ავადმყოფობის გამო მოსწავლეთა სკოლიდან გასვლა სათანადო ბრძანებით არ ფორმდება.

სუსტია მუშაობა მეორეწლიან და ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა განთესვას.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. 1957/58 სასწავლო წლის I მეოთხედში 328 მოსწავლიდან ასწრებდა 237, ვერ ასწრებდა 91. 19 მეორეწლიან მოსწავლიდან ვერ ასწრებს 7.

I მეოთხედში გაცდენილია 6,439 გაკვეთილი, აქედან საპატიო მიზეზით 5,573, არასაპატიო მიზეზით—868.

ძალზე სუსტია სკოლის მატერიალური ბაზა. სკოლის შენობა უვარგისია. სკოლას არ გააჩნია სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების, ბიბლიოთეკის ოთახები, პიონერთა ოთახი და სპორტული დარბაზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვბრძანებ:

1. სკოლის ხელმძღვანელებმა:

1. დააზუსტონ სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა და უახლოეს დროში უზრუნველყონ სწავლებაში მათი ჩაბმა;

2. მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის კურსის დამთავრებამდე მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის შენარჩუნებისათვის და აღკვეთონ სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები;

3. კანონით გათვალისწინებული ზომები მიიღონ იმ მშობლებისა ან მზრუნველი პირების მიმართ, რომლებიც არასაპატიო მიზეზით სწყვეტენ ბავშვს სკოლას;

4. გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან;

5. ავადმყოფობის გამო აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის მოაწყონ კონსულტაციები და დაეხმარონ მათ გავლილი მასალის შესწავლაში.

II განათლების განყოფილების გამგემ:

1. გააძლიეროს სკოლისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში;

2. გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად; დახმარება გაუწიოს სკოლას სასწავლო კაბინეტების აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებით შევსების საქმეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1853

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 30 დეკემბერი

ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად ჩატარებულია გარკვეული მუშაობა.

ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლამ (დირექტორი აკ. გოლოძე) სკოლის გარეთ დარჩენილ მუშა-ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის შედეგად წარმატებით შეასრულა მიმდინარე სასწავლო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა. სახალხო განათლების განყოფილებანი (ამხ. ამხ. კ. ასათიანი და გ. ნასარეა) ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებენ აღნიშნული სკოლების მუშაობაზე, რამაც გარკვეულად აამაღლა ცალკეული საგნების სწავლების ხარისხი. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში — მ. ქახრამანოვი, თ. ბერეკაშვილი (ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლა) ე. სოფრომაძე (ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა); რუსულ ენასა და ლიტერატურაში — მ. შენგელია (გუმათჰესის მუშა-ახალგაზდრობის სკოლა) მათემატიკაში—რ. კაკუშაძე, ნ. ჯაგანოვა (ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა), აკ. გოლოძე (ტყიბულის მუშა ახალგაზდრობის მე-2 სკოლა); ისტორიაში—გ. ჯაბუტაშვილი (ქუთაისის რაიონის გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ნ. ნინიძე (ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა), გეოგრაფიაში—ივ. ძნელაძე (გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. ასე, მაგალითად, გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლა უზრუნველყოფილია საკუთარი ორსართულიანი სასკოლო შენობით და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქუთაისის რაიონის გუმათჰესის და ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ელ სკოლებში არ ტარდება დამაკმაყოფილებელი მუშაობა სკოლაში მისაღები ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად. ამის გამო ადგილი აქვს კლასების დაუტვირთაობისა და სახალხო-სამეურნეო გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევებს. გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი მ. პატარაია) რუსული სექტორის V, VIII კლასებში, ქართული სექტორის VII კლასში და ზოგიერთ სხვა კლასშიც ირიცხება რვიდან ათამდე მოსწავლე ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლ სკოლაში ნაცვლად 18-ისა მუშაობს 16 კლასი 315 მოსწავლით.

სკოლების ხელმძღვანელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა ვერ უზრუნველყვეს წარმოება-დაწესებულებებთან მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარება, რის გამოც ნაკლებად იგრძნობა ამ უკანასკნელთა ზრუნვა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფისათვის. ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის არც ერთ სკოლას არ აქვს საკუთარი შენობა და სასწავლო კაბინეტები. მათ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მხოლოდ ზოგიერთი ხელსაწყოიარაღი მოეპოვებათ. მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის წიგნთა რაოდენობა მხოლოდ 250 ცალამდე აღწევს;

აღნიშნული სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და ცალკეული საგნების მასწავლებლები არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდებიან სკოლის წლიურ, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურსა და გაკვეთილების გეგმების შედგენას.

ზემოხსენებული რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლებში თითქმის სრულიად მივიწყებულია მეთოდური მუშაობა; არ მუშაობენ საგნობრივი მეთოდკომისიები, იშვიათად ტარდება ღია გაკვეთილები.

ქუთაისის და ტყიბულის რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო მუშაობას ეწევიან მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად. ხშირია მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. ასე, მაგალითად, გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქართული სექტორის მე-7 კლასში 21 ნოემბერს 8 მოსწავლიდან მხოლოდ 3 გამოცხადდა; კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო რუსული სექტორის XI კლასში, სადაც 1-ლ გაკვეთილზე 4 მოსწავლიდან არც ერთი არ ესწრებოდა; ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლ საშუალო სკოლაშიც.

შესწავლილ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლების ხელმძღვანელთა მიერ ისედაც მცირე რაოდენობით მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები არ იძლევა წარმოდგენას გაკვეთილის მეცნიერულ და პედაგოგიურ მეთოდური მხარის შესახებ.

ნაკლოვანებანია აგრეთვე ზოგიერთი საგნის სწავლების საქმეში. ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დ. ფანჩულიძე არასაკმაოდ მუშაობს საკუთრი პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდება გაკვეთილებისათვის მომზადებას, უყურადღებოდ ასწორებს საკონტროლო წერით ნამუშევრებს, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული რუსული ენის სწავლება გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქართული სექტორის VII კლასში (მასწავლებელი მ. მოშიაშვილი), თვით მასწავლებელი რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, არასაკმაოდ ფლობს რუსულ ენას. იგი გაკვეთილზე რუსულად მეტყველებისას თვით უშვებს ენობრივ შეცდომებს.

დაბალ დონეზეა დაყენებული გეომეტრიის სწავლება გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლის X კლასში (მასწ. ა. სვინტრაძე). მოსწავლეებმა ვერ შესძლეს პირამიდის, წაკვეთილი პირამიდის და პარალელეპიპედის ნახაზების გაკეთება. არ იციან პირამიდის და წაკვეთილი პირამიდის განსაზღვრებანი და სხვ.

საგნის სწავლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ი. კუბლაშვილი. იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, ყურადღებას არ აქცევს თავის თავზე მუშაობას, გაკვეთილის მსვლელობისათვის თვით უშვებს ფაქტობრივ და ენობრივ ხასიათის შეცდომებს, რის გამოც ამ საგანში ძლიერ დაბალია მოსწავლეთა მომზადება.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება საერთოდ და განსაკუთრებით ზოგიერთ კლასში. ასე, მაგალითად, ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშუალო სკოლის აკადემიური მოსწრება I-ლი მეოთხედის ბოლოსათვის მხოლოდ 64,5 პროცენტი იყო. კიდევ უფრო უარესი სურათია ამავე სკოლის ცალკეულ კლასებში. რუსული სექტორის IX კლასში აკადემიური წარმატება უდრის 41,6%-ს, V კლასში—45,4%. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის მე- 2 და გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლებშიც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. კ. ასათიანმა და გ. ნასარეამ:

ა) კიდევ უფრო გააძლიერონ მუშა ახალგაზრდობის სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი. საჭიროების შემთხვევაში საკითხები ამ სკოლების მუშაობის შესახებ გახადონ პარტიის რაიკომის ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომისა და სახალხო განათლების საბჭოს მსჯელობის საგნად;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციონ მუშა ახალგაზრდობის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების გამდიდრებას; მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა აღნიშნული სკოლების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

გ) მკვეთრად გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების დახმარება მუშა ახალგაზრდობის სკოლებისადმი და უზრუნველყონ ცალკეული საგნების მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების გაძლიერება;

დ) გულდასმით შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სკოლების დირექტორებისა და მასწავლებელთა მუშაობა და მკაცრად დასჯონ ის მუშაკები, რომლებიც არ გამოასწორებენ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სწავლებაში ჩასაბმელ ახალგაზრდობასთან მუშაობა და აღმოფხვრან სახალხო-სამეურნეო გეგმის შეუსრულებლობის და კლასების დაუტვირთაობის შემთხვევები;

ბ) მტკიცე, საქმიანი კავშირი დაამყაროს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით მიაღწიონ ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიისა და სხვა საგნების სწავლების მკვეთრად გაუმჯობესებას;

დ) კომუნისტ და კომკავშირელ მოსწავლეთა ავანგარდული როლის ამაღლებით, მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივის შექმნით და თვითეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომით მიაღწიონ მათ შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას;

ე) წესრიგში მოიყვანონ ყველა სასკოლო დოკუმენტი; შემდეგში არ დაუშვან მათი წარმოებისადმი ფორმალური დამოკიდებულების დღემდე არსებული მავნე პრაქტიკა.

3. მასწავლებლებმა: გაითვალისწინონ მუშა ახალგაზრდობის სკოლის მუშაობის სპეციფიკური პირობები, გადაჭრით გააუმჯობესონ გაკვეთილებისათვის მომზადების საქმე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გაკვეთილზე თვალსაჩინოების გამოყენებას, გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები და მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საპროგრამო მასალის საფუძვლიან შეთვისებას.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობის გამო გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს მ. პატარაიას და ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლის დირექტორს ვ. გიორგაძეს მიეთითოთ.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს დ. ფანჩულიძეს (ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის I-ლი სკოლა), რუსული ენის მასწავლებელს მ. მოშიაშვილს (გუმათჰესის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), მათემატიკის მასწავლებელს მ. სვინტრაძეს (გუმათესის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) და ისტორიის მასწავლებელს ი. კუბლაშვილს (ქ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა) მიეთითოთ.

6. ეცხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს საქართველოს სსრ სახალხო-მეურნეობის საბჭოს ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათვის სასკოლო შენობათა აგება ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ხარჯზე.

7. ეს ბრძანება განხილულ იქნეს ქუთაისისა და ტყიბულის რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჯულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1860

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 31 დეკემბერი

ახმეტის რაიონის სოფ. დუისისა და ოჟიოს საშუალო სკოლებში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სოფ. დუისისა (დირექტორი ა. შველაშვილი) და ოჟიოს (დირექტორი ალ. მალვენიშვილი) საშუალო სკოლებს საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები გააჩნიათ.

ამ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კონტინგენტის სრულად შენარჩუნების საქმეს. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში დუისის საშუალო სკოლიდან განთესილია 44, ოჟიოს საშუალო სკოლიდან 41 ბავშვი.

შემოწმების დროს დუისისა და ოჟიოს სკოლების დირექტორები ყოველნაირად შეეცადნენ არასწორი ცნობების წარმოდგენით დაემალათ არსებული მდგომარეობა. დუისის საშუალო სკოლის მიკრორაიონში 13 მოსწავლე არ იყო შეტანილი საერთო სიაში. ზოგიერთი კი (ხ. ს. დუიშვილი დაბადებული 1944 წელს, VI კლასი) ირიცხება სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეთა სიაში, მაგრამ არც იმ სკოლაში ცხადდება.

ოჟიოს სკოლის შემოწმების დროს 41 მოსწავლის შესახებ არ აღმოჩნდა ცნობები, შემდგომ წარმოდგენილ დამატებითმასალებში ნაჩვენებია ვ. ი. მამაჯანაშვილი, რომელიც თელავის რზრდილთა საშუალო სკოლის მოსწავლე. ფაქტიურად იგი აღნიშულ სკოლაში არ სწავლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუისის და ოჟიოს საშუალო სკოლებში მოუწესრიგებელია მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება.

აღნიშნულ სკოლებში სათანადოდ არ იბრძვიან მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის წინააღმდეგ. ოჟიოს საშუალო სკოლაში სასწავლო წლის პირველ მეოთხედში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1218, ხოლო დუისის საშუალო სკოლაში—4278 საათი. გაცდენის ასეთი დიდი რიცხვი გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებაზე. სასწავლო წლის პირველი მეოთხედის ბოლოს ოჟიოს საშუალო სკოლაში შეფასებულ 250 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 81, ხოლო დუისის საშუალო სკოლაში 484 მოსწავლიდან —178 მოსწავლე.

განსაკუთრებით დაბალია მოსწრება ოჟიოს საშ. სკოლის მე-11 კლასში (კლასის ხელმძღვანელი ვ. მამულაშვილი). ამ კლასის 32 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 15 მოსწავლე, VIII კლასში 28 მოსწავლიდან—14 (კლასის ხელმძღვანელი ვ. გიგაური).

დუისის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატი მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში, მოუწესრიგებელია მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

დუისის და ოჟიოს საშუალო სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე არ იხილავენ საკითხს საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ. ზოგიერთ კლასებში მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. დუისის საშუალო სკოლის პირველ კლასებში ჩარიცხული მოსწავლეებიდან დაბადების მოწმობა არ აღმოაჩნდა 18, ხოლო ოჟიოს სკოლის I—XI კლასებში—16 მოსწავლეს.

განათლების განყოფილება ქმედით დახმარებას ვერ უწევს აღნიშნულ სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ ყველა ზომა სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

ბ) მესამე მეოთხედის დასაწყისამდე დააზუსტონ სხვადასხვა დროს სკოლიდან გასულ მოსწავლეთა სიები და უზრუნველყონ ამავე სკოლაში ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლის შესაბამის კლასებში მათი ჩაბმა;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხი საყოველთაო სწავლების კანონის გატარების შესახებ;

დ) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა;

ე) წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის წიგნი და ზუსტად დაიცვან მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადასვლის ყველა წესი;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა შორის მუშაობას.

2. საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სკოლაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ოქიოს საშუალო სკოლის დირექტორს ალ. მალვენიშვილს.

3. საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის დუისის საშუალო სკოლის დირექტორს ა. შველაშვილს გამოეცხადოს საყვედური.

4. განათლების განყოფილებამ არსებითად გააუმჯობესოს სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი; 1957/58 სასწავლო წლის ბოლომდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობა ოქიოს და დუისის საშუალო სკოლებში და შედეგების შესახებ მოხსენებითი ბარათი წარუდგინოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჯუალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1864

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 31 დეკემბერი

ქ. ქუთაისის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქალაქ ქუთაისის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების მასალებს აღვნიშნავ, რომ შემოწმებული სასკოლო ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსწავლე ახალგაზრდობის გათვითცნობიერებისა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების საქმეში.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას ძირითადად ხელმძღვანელობენ უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე, საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე, გამოცდილი მუშაკები. ყველა შემოწმებულ სკოლაში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომლის ერთი ნაწილი დათმობილი აქვს წიგნთსაცავს, ხოლო მეორე — სამკითხველოს. სასკოლო ბიბლიოთეკების უმრავლესობას გააჩნია საკმაო რაოდენობის წიგნადი ფონდი. მაგალითად, ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 10.500 წიგნით განისაზღვრება, ხოლო 21-ე საშუალო სკოლისა 4660-ით.

სასკოლო ბიბლიოთეკები ყოველწლიურად ივსება ახალი საბავშვო, მხატვრული, პოლიტიკური და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით. მიმდინარე სასწავლო წელს ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლაში შეძენილია 2.525 მანეთის ახალი წიგნები. 21-ე და მე-7 საშუალო სკოლებში 1000 მანეთისა. სასკოლო ბიბლიოთეკების უმრავლესობას ხელშეკრულება აქვს დადებული ქალაქის საბავშვო და სხვა ბიბლიოთეკებთან, რომლებიც სისტემატურ მომსახურებას უწევენ მათ ე. წ. მოძრავი ბიბლიოთეკებით. სკოლებს გამოწერილი აქვთ საბავშვო და პედაგოდიური ხასიათის პერიოდული გამოცემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა წიგნის პროპაგანდას. ბიბლიოთეკის კედლებზე გაკრულია მწერალთა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა მოსაზრებანი წიგნის მნიშვნელობის შესახებ. მკითხველებთან ტარდება საუბრები წიგნის მნიშვნელობასა, მის მოვლასა და დაცვაზე, წიგნების ხმამაღალი კითხვა, მკითხველთა კონფერენციები, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები კლასების მიხედვით. ეწყობა ახალი ლიტერატურის გამოფენები და სხვ.

განსაკუთრებით შინაარსიანი მუშაობაა გაშლილი ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში (სკოლის დირექტორი ქ. თ. ნადირაძე, ბიბლიოთეკის გამგე ქ. ნ. რუსაძე). მიუხედავად იმისა, რომ ქ. რუსაძეს არა აქვს ბიბლიოთეკაში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, იგი ამჟღავნებს დიდ მონდომებასა და ინიციატივის უნარს. ქ. რუსაძეს წიგნადი ფონდი მთლიანად დამუშავებული აქვს ბიბლიოთეკური წესით, მთელი საბიბლიოთეკო მეურნეობა: მკითხველთა ფორმულარები, საკატალოგო ბარათები, წიგნის ფორმულარები, საინვენტარო წიგნი და სხვ. აჟურში აქვს მოყვანილი. ბიბლიოთეკის მიერ გამოწერილი პერიოდული გამოცემები — ჟურნალ-გაზეთები წლების მიხედვით დაკომპლექტებულია, აკინძულია და საინვენტარო წიგნშია შეტანილი.

სკოლის 495 მოსწავლიდან ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველია 388 მოსწავლე. ნორჩი მკითხველები ეტანებიან არა მხოლოდ მხატვრულ საბავშვო ლიტერატურას, არამედ მეცნიერულ-პოპულარულ და ტექნიკური ხასიათის ლიტერატურასაც. მკითხველები სარგებლობენ აგრეთვე რუსული ლიტერატურით.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის გამგემ მასწავლებლის დახმარებით და მონაწილეობით შეიძინა ინგლისური კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რითაც ფართოდ სარგებლობენ მკითხველები. ბიბლიოთეკაში სისტემატურად (კვირაში ორჯერ) ტარდება წიგნის ხმამაღალი კითხვა, ხოლო მეოთხედში ერთხელ მკითხველთა კონფერენციები. ამჟამად მზადდება მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „ვსწავლობთ ინგლისურ ენას“. კონფერენციის ჩატარება განზრახულია ინგლისურ ენაზე.

ბიბლიოთეკასთან შექმნილია წიგნის მეგობართა და ნორჩ ბიბლიოთეკართა წრეები. აღნიშნული წრეების წევრები ეხმარებიან

ბიბლიოთეკას წიგნების ტექნიკურად დამუშავებასა. შეკეთებასა
და აკინძვაში, თაროების გაწმენდასა და დალაგებაში.

ბიბლიოთეკას მჭიდრო კავშირი აქვს მასწავლებლებთან. მასწავლებლები ეხმარებიან ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდის ახალი, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით შევსების საქმეში, ხოლო ბიბლიოთეკა ეხმარება მასწავლებლებს კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებაში. მაგალითად, ბიბლიოთეკამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლების საგნობრივი წრეების მიერ მიმდინარე წლის 21 ნოემბერსა და 15 დეკემბერს ჩატარებული ტექნიკური კონფერენციების მომზადებაში.

ბიბლიოთეკაში შემოღებულია შთაბეჭდილებათა წიგნი, რომელშიაც ნორჩ მკითხველებს შეაქვთ თავიანთი შთაბეჭდილებანი და მოსაზრებანი წაკითხული წიგნის გარშემო. ბიბლიოთეკის კედლის გაზეთში „ნორჩი მკითხველი" ფართოდ შუქდება ბიბლიოთეკის ცხოვრება.

ბიბლიოთეკის გამგემ ქ. რუსაძემ დაამუშავა თემა: „მკითხველთა კონფერენცია სკოლის ბიბლიოთეკის ცხოვრებაში," რაც წარდგენილი იყო პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში პედაგოგიურ კითხვაში მონაწილეობის მისაღებად.

ქ. ქუთაისის მასწავლებელთა თეორიულ კონფერენციაზე ქ. რუსაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „როგორ ვატარებ ხმამაღალ კითხვას".

დამაკმაყოფილებლად არის მუშაობა დაყენებული აგრეთვე ქ. ქუთაისის მე-2 და 22-ე საშუალო სკოლებში. მაგრამ ქ. ქუთაისის სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი: მე-11, 22-ე და მე-7 სკოლების ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული ბიბლიოთეკური წესით. მე-3, მე-11, 22-ე და მე-7 სკოლების ბიბლიოთეკებს არ აქვთ გამოწერილი რუსული საბავშვო და ახალგაზრდული ჟურნალები. აღნიშნულ სკოლებში მოუვლელი და აუკინძავია ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები. არ ექცევა ყურადღება მკითხველების რუსული მხატვრული და ტექნიკური ხასიათის ლიტერატურით დაინტერესების საქმეს. სასკოლო ბიბლიოთეკებს არ ეწევა საჭირო დახმარება და კონტროლი სკოლის ხელმძღვანელობის მხრივ. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე არ იხილება საკითხი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს ჯ. გ. ბედიაშვილს (სკოლის დირექტორი ამხ. თ. ი. დახუნდარიძე) არ აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და არც ბიბლიოთეკაში მუშაობის გამოცდილება. წიგნები მოუვლელია, დაფლეთილი გარეკანითა და ფურცლებით, ბიბლიოთეკა მოთავსებულია მეტად ვიწრო ბინაში და ძნელია იქ რაიმე შინაარსიანი მუშაობის გაშლა.

მეტად მცირეა მკითხველთა რაოდენობა მე-11 სკოლაში. აქ 631 მოსწავლიდან ბიბლიოთეკაში ჩაწერილია მხოლოდ 200 მკითხველი.

მე-7 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე გ. ჩეჩელაშვილი გამოცდილი მუშაკია. იგი კარგად იცნობს საბიბლიოთეკო მუშაობას და ხშირად მეთოდურ დახმარებასაც უწევს სხვა სკოლების ბიბლიოთეკარებს, მაგრამ თვით მის პრაქტიკულ მუშაობაში ადგილი აქვს საყურადღებო ხარვეზებს: წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი დაუმუშავებელია. სკოლის 726 მოსწავლიდან ბიბლიოთეკაში მხოლოდ 83 მუდმივი მკითხველია ჩაწერილი.

ქ. ქუთაისის განათლების განყოფილება სკოლების კომპლექსური შემოწმებისას სისტემატურად სწავლობს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას და უწევს მათ საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას, მაგრამ მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე ქალაქის განათლების განყოფილებასთან არსებულ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე არ განხილულა საკითხი ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ:

ა) პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე ქ. ქუთაისის სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხი;

ბ) მიავლინოს სასკოლო ბიბლიოთეკართა გადასამზადებელ კურსებზე მე-3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ჯულიეტა გიორგის ასული ბედიაშვილი.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) დააწესონ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაზე;

ბ) სასკოლო ბიბლიოთეკის ცალკეული მტკივნეული საკითხები გახადონ პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად და დასახონ ღონისძიებანი ბიბლიოთეკის მუშაობის გარდასაქმნელად;

გ) უზრუნველყონ კლასის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა

მჭიდროდ დაკავშირება ბიბლიოთეკასთან და მათი ყოველდღიური დახმარებით ბიბლიოთეკის მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება;

დ) იზრუნონ ნორჩ მკითხველთა რაოდენობის გაზრდისათვის და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები მეტ ინტერესს იჩენდნენ რუსული მხატვრული, უცხო, ტექნიკური და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურისადმი;

ე) უზრუნველჰყონ მომავალი წლიდან ყველა ადგილობრივი და რუსული საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სკოლის ბიბლიოთეკისათვის.

3. ბიბლიოთეკის გამგეებმა:

ა) უმოკლეს ვადაში დაამთავრონ წიგნადი ფონდის ბიბლიოთეკური წესით დამუშავება და მოაწესრიგონ ბიბლიოთეკის მთელი მეურნეობა;

ბ) მკითხველთა კონფერენციების, ლიტერატურული დილების, წიგნის ხმამაღალი კითხვისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების სისტემატურად ჩატარებით კიდევ უფრო გააძლიერონ მოსწავლეთა შორის პროპაგანდა;

გ) შემოიკრიბონ ბიბლიოთეკის გარშემო ნორჩ-მკითხველთა აქტივი— წიგნის პატარა მეგობრები და ჩააბან ისინი ბიბლიოთეკის ყოველდღიურ საქმიანობაში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1867

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. თბილისის სკოლების გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლას გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე ღაყენებით გამოირჩევიან 77-ე, 66-ე, და 67-ე საშუალო სკოლები.

კარგად მუშაობენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—რ. კორძახია, ა. ზურაბიშვილი (მე-4 საშ. სკ.), ა. ჯობაძე, თ. ჩხეიძე, ნ. სიხარულიძე (77-ე საშ. სკ.), ლ. ჭიჭინაძე, ქ. მირიანაშვილი (67-ე საშ. სკ.), დ. ჭყონია, ლ. სოხაძე (39-ე საშ. სკ.), გ. კუტუბიძე (36-ე საშ. სკ.), ვ. კახაძე (54-ე საშ. სკ.), ტ. პეჩინსკაია, გ. კალინსკაია (მე-11 საშ. სკ.), ა. იუზბაშევა, ს. ბურუნსუზიანი, ნ. ნერსესოვა (66-ე საშ. სკ.), ს. შახსუვარიანი (34-ე საშ. სკ.); არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—თ. გვასალია (36-ე საშ. სკ.), ქ. მარგველაშვილი (42-ე საშ. სკ.), ქ. მამინაიშვილი (54-ე საშ. სკ.), კ. გუგუნავა (77-ე საშ. სკ.), ვ. ბეჟუაშვილი, ო. ფხაკაძე (39-ე საშ. სკ.), ვ. ვარძიელი, ო. ვარაზაშვილი, ო. კაზარიანი (67-ე საშ. სკ.), დ. გამრეკელი, ა. ტუმანიანი (79-ე საშ. სკ.), ვ. საპონჯიანი, ე. საგრატიანი (34-ე საშ. სკ.); უცხო ენების მასწავლებლები—თ. მაღრაძე, თ. ბერიშვილი (მე-4 საშ. სკ.), ლ. ბოგდანოვსკაია, მ. ლეჟავა, თ. უზნაძე (54-ე საშ. სკ.), ე. სიხარულიძე, ნ. ქართველიშვილი (42-ე საშ. სკ.), ქ. ოგანეზოვი (66-ე საშ. სკ.), თ. კავკასიძე, (67-ე საშ. სკ.), ე. კარაპეტიანი, ნ. ბუჩუკური (86-ე საშ. სკ.), ც. კიკნაძე, ე. ტყეშელაშვილი (63-ე საშ, სკ.), ე.

ქურიძე, ა. იმხნელი (მე-11 საშ. სკ.); არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებლები—ა. მახარაძე, მ. ზურაბიშვილი, (34-ე საშ. სკ.), ნ. ჭიპაშვილი (79-ე საშ. სკ.), მათემატიკის მასწავლებლები—დ. გონდაური, ნ. გოჩიტაშვილი (77ე- საშ. სკ.), ა. კაკაურიძე (მე-4 საშ. სკ.), ა.ვოსკანიანი (86-ე საშ. სკ.), ა.ბალასანიანი (66-ე საშ. სკ.), რ. ხუდანიანი, ვ. არუბჯანიანი (34-ე საშ. სკ.), რ . არუბჯანიანი, ა. აბოვიანი (79-ე საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებელი—გ. გაჩეჩილაძე (66-ე საშ. სკ.), ა. დარჩია (77-ე საშ. სკ.), გ. ბურჯანაძე (42-ე საშ. სკ.), ნ. ცისკაძე (მე-4 საშ. სკ.); პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმების მასწავლებლები—ი. კიკაბიძე (42-ე საშ. სკ.), ს .დოლიძე (67-ე საშ. სკ.), ტ. ჯავახოვი (77-ე საშ. სკ.), მ. ბიძინაშვილი (66-ე საშ. სკ.); ქიმიის მასწავლებლები—პ. ჩირვაძე (მე-4 საშ. სკ), ა. გეგენავა (77-ე საშ. სკ.), ქ. ტუსკია (42-ე საშ. სკ.), ლ. რატიანი (39-ე საშ. სკ.), გ. ანდრიაძე და ტ. ფარღალავა (36-ე საშ. სკ.); ი. კოსტავა 66-ე საშ. სკ.); ბიოლოგიის მასწავლებლები—ე. შენგელია (მე-4 საშ. სკ.), ქ. ჭანიშვილი (36-ე საშ. სკ.), მ. კობიძე (31-ე საშ. სკ.), ლ. კოტრიკაძე (67-ე საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლები—ი. დუბროვსკაია, რ. ჯაფარიძე (66-ე საშ. სკ.); ა. ჩობანიანი, მ. ლისოვინა (86-ე საშ. სკ.), ე. მაკაროვა (მე-11 საშ. სკ.); გეოგრაფიის მასწავლებელი—მ. ჯიბლაძე (39-ე საშ. სკ.) და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობენ საწარმოო კლასები. 66-ე საშუალო სკოლის VIII და IX კლასების მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან საზეინკლო საქმეს თბილისის კამოს სახელობის მექანიკურ ქარხანაში.

მაგრამ შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს, პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით არ ასრულებს თავის მოვალეობას, არ ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, არ ეხმარება ჩამორჩენილ მოსწავლეებს და ადვილად ურიგდება ნაკლოვანებებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული 54-ე საშუალო სკოლის VIII—XI კლასებში. ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე IX კლასში (მასწ. ნ. გედევანიშვილი). მოსწავლეებმა სათანადოდ არ იციან მწერალთა ბიოგრაფიები, ტექსტების შინაარსი, საზეპირო მასალა და სხვ. მასწ. ნ. გედევანიშვილი გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებს, ვერ აინტერესებს მოსწავლეებს, რის გამოც ადგილი აქვს გაკვეთი-

ლებზე უდისციპლინობას. ქართული ლიტერატურის ძველი ძეგლების ტექსტის შესწავლისას იგი მოსწავლეებს არ უხსნის იმ სიტყვა-გამოთქმებს, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებისაგან განსხვავებულია ლექსიკურ-გრამატიკულად. X კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ა. ძმანაშვილი) არ იციან ლიტერატურის თეორიის საკითხები, უშვებენ ენობრივ შეცდომებს, რომელთაც მასწავლებელი უყურადღებოდ ტოვებს. ა. ძმანაშვილი წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს, ზოგჯერ იგი უმართებულოდ „ასწორებს" მოსწავლეთა ძიერ სწორად დაწერილს. საკონტროლო წერით ნამუშევრებზე მისი რეცენზიები მუქარას უფრო წარმოადგენს ვიდრე რჩევა-დარიგებას. რეცენზიებში იგი უშვებს პუნქტუაციურ და ენობრივ შეცდომებს. მასწ. ა. ძმანაშვილი არ ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს მეთოდური მითითებებით. იგი მოსწავლეებს ერთ რვეულში ასრულებინებს საკლასო და საკონტროლო წერით სამუშაოებს. ზედმეტად ტვირთავს კლასს არასაპროგრამო მასალით და მოსწავლეთა ცოდნას არაობიექტურად აფასებს. მე-4 და 31-ე საშუალო სკოლების IV—V კლასების მასწავლებლები მ. კუხალეიშვილი, მ. ლაშაური და თ. მდივანი ვერ ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, გაკვეთილის ახსნისას უშვებენ ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს. მასწავლებელ მ. ლაშაურს სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე არ გაუსწორებია მოსწავლეთა საკლასო და საშინაო წერითი ნამუშევრები. მასწავლებელი თ. მდივანი გულდასმით არ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, აფასებს ლიბერალურად და უყურადღებოდ ტოვებს შეცდომების გასწორებას. იგი გრამატიკულ მასალას ასწავლის თვალსაჩინოებისა და პრაქტიკული ვარჯიშობის გარეშე, რის გამოც მოსწავლეთა მომზადების დონე მშობლიურ ენაში დაბალია.

66-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. მერაბოვა სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, 63-ე საშუალო სკოლის III კლასის (მასწ. ლ. ცინცაძე) მოსწავლეები ვერ ასხვავებენ მეტყველების ნაწილებს და წინადადების წევრებს ერთმანეთისაგან. მასწ. ლ. ცინცაძე არასწორად სვამს კითხვებს. ამავე სკოლის მასწავლებელი ა. ცურკანი ყურადღებას არ აქცევს შეცდომებზე მუშაობას. 86-ე საშუალო სკოლის მასწავლებლები ვ. სარიბეგოვი, ვ. სარქისოვი, ნ. სიროვატკინა სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ლიტერატურული ტექსტის შესწავლასა და უცნობი სიტყვების ახსნა-განმარტებას, მასწ. ვ. სარიბეგოვი ძალზე ცოტა დროს უთმობს ახალი მასალის ახსნას.

მასწავლებლები ვ. სარქისოვი და ვ. სარიბეგოვი უყურადღებოდ ტოვებენ შეცდომებზე მუშაობას, სრულებით არ ასწორებენ საშინაო და საკლასო ნამუშევრებს.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება. ზოგიერთი მასწავლებელი სათანადოდ არ არის დაუფლებული რუსულ ენას, ისინი ვერ ამჩნევენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ზოგჯერ თვითონაც უშვებენ ენობრივი ხასიათის შეცდომებს. მე-4 საშუალო სკოლის II—III კლასების (მასწ. ნ. ბარამიძე, ქ. ჩანთაძე) და 54-ე საშუალო სკოლის VI კლასის (მასწ. ც. ჩახნაშვილი) მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია, ღარიბია მოსწავლეთა ლექსიკონი, დასმულ კითხვებზე ვერ იძლევიან სწორ პასუხს, უშვებენ უხეშ შეცდომებს მართვა-შეთანხმებაში. 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. კანდელაკი სუსტად ფლობს რუსულ ენას, ვერ ასხვავებს შემარბილებელ ნიშანს გამყოფი ნიშნისაგან, არ ემზადება გაკვეთილებისათვის. ამავე სკოლის III კლასის მასწავლებელი ვ. თურმანიძე არ იცავს განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულ საკონტროლო წერის ნორმებს. 54-ე საშუალო სკოლის X—XI კლასების მასწავლებელი ს. ჩხეიძე მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს და ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებს. შესწავლილი სკოლების სამინისტროს მეთოდური მითითებებით. იგი მოსწავლეებს ერთ მებზე მუშაობა, არ ტარდება სავარჯიშო წერითი სამუშაოები.

ერთგვარი ნაკლოვანებებით ხასიათდება უცხო ენების სწავლება. 77-ე საშუალო სკოლის ფრანგული ენის მასწ. ვ. შოშიაშვილი სათანადოდ ვერ ფლობს ენას; მან IX კლასში მოსწავლეებს წინადადებები არასწორად გადაუთარგმნა. ამავე სკოლის ფრანგული ენის მასავლებელი შ. შათაშვილი გაკვეთილებისათვის არ ემზადება, რის გამოც IX კლასში მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. 39-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ლ. ლეონიძე ვერ ფლობს ენასა და მისი სწავლების მეთოდებს. მასწავლებელი X—XI კლასების მოსწავლეებს დაბალ მოთხოვნილებას უყენებს; გრამატიკული მასალის შესწავლას არ უკავშირებს ტექსტს. ტექსტის ირგვლივ კითხვებს სვამს მშობლიურ ენაზე და მოსწავლეებიც მშობლიურ ენაზე პასუხობენ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება 36-ე (მასწ. გ. სებისკვერაძე), 42-ე (მასწ. მ. ანდრიაძე და ბ. სვანიძე), 54-ე (მასწ. შ. გალდავაძე), 63-ე (მასწ. ა. ევლაშკოვა), 66-ე (მასწ. ლ. მარტიროსიანი) და 86-ე (მასწ. მხითარიანი) საშუა-

ლო სკოლების VI—XI კლასებში. მოსწავლეებს ალგებრაში დაზეპირებული აქვთ წესები, ფორმულები და არ ესმით მათი შინაარსი. მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნისას დროულად ვერ ახდენენ საჭირო გარდაქმნებს; აღნიშნული მასწავლებლები არ არიან დაუფლებული გეომეტრიის სწავლების მეთოდებს, მის პრაქტიკულ ნაწილს, რის გამოც სწავლებას თვალსაჩინოების გარეშე აწარმოებენ; ისინი ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე. ტრიგონომეტრიაში მოსწავლეებს არა აქვთ სწორი წარმოდგენა ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე, რის გამოც ვერ პოულობენ განსხვავებას ტრიგონომეტრიულ ხაზებსა და ფუნქციებს შორის; ნაკლებად ავარჯიშებენ ტრიგონომეტრიული იგივეობის დამტკიცებაზე, შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციების სწავლებისას არ ამახვილებენ ყურადღებას ამ ფუნქციების მრავალსახეობაზე; მუშაობისას მიმართავენ ლექციურ მეთოდს, მოსწავლეებს არ აბამენ მუშაობაში, ზოგჯერ გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებენ და უშვებენ ფაქტობრივ შეცდომებს; საკონტროლო წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებენ და ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება 34-ე (მასწ. რ. ოგანიანი), 54-ე (მასწ.ე ბახტაძე), 42-ე (მასწ. ს. ცაგურიშვილი), 79-ე (მასწ. გ. მალერიანი) საშუალო სკოლების VII და XI კლასებში. ეს მასწავლებლები არ ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. მოსწავლეებს გაზეპირებული აქვთ ფიზიკურ ცნებათა განმარტებები და არ ესმის მათი შინაარსი. 39-ე, 54-ე, 67ე, 36-ე და 86-ე საშუალო სკოლებში ფიზიკის კაბინეტის მოუწყობლობის გამო შეუძლებელი ხდება სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების დიდი ნაწილის ჩატარება. 63-ე საშუალო სკოლას არა აქვს ფიზიკის კაბინეტი.

მატერიალური ბაზის უქონლობის გამო სუსტად არის დაყენელი ელექტროტექნიკის სწავლება შესწავლილი სკოლების დიდ ნაწილში. 39-ე და 54-ე საშუალო სკოლებში სასწავლო სახელოსნოების ბინის სივიწროვის, ხელსაწყოებისა და საჭირო მასალის უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება პრაქტიკული მეცადინეობის ნორმალურად ჩატარება. 63-ე საშუალო სკოლის სახელოსნოში არ სწარმოებს ხეზე მუშაობა. მე-4 საშუალო სკოლაში პრაქტიკული მეცადინეობისათვის შექმნილია ნორმალური პირობები, მაგრამ მასწავლებელი ვ. თაბუკაშვილი მას ვერ იყენებს. იგი არ ემზადება

გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს ვერ აბამს მუშაობაში, რის მოც ერღვევა დისციპლინა. მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს 86-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ვართპატრიკიანი.

დაბალია 31-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ქიმიაში (მასწ. გ. გოგიბერიძე). მოსწავლეები ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ მარტივ ნივთიერებებსა და ქიმიურ ელემენტებს, სუსტად იციან ჟანგეულები. ასევე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე 39-ე საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ე. ჯალაღანია). მოსწავლეები ვერ ერკვევიან ელემენტთა დადებით და უარყოფით ვალენტობაში. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში მასწ. ა. ჯალაღანია იჩენს ლიბერალიზმს. 63-ე (მასწ. მ. რონჟეს, გ. შახნაზაროვი) და 79-ე (მასწ. ა. ანდრონიკიანი) საშუალო სკოლებს არა აქვთ ქიმიის კაბინეტი და სწავლება თვალსაჩინოებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების გარეშე სწარმოებს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება 54-ე საშუალო სკოლის VI—VII—VIII კლასებში. მასწ. ლ. ჯიქია გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ ფლობს სწავლების მეთოდებს, არ ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებს, არ აწყობს სასწავლო ექსკურსიებს. 67-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი რ. ბახანაშვილი სათანადოდ არ გეგმავს თავის მუშაობას. იგი ზერელედ გადის მასალას, V კლასში წინ არის 7 საათით, რის გამოც მოსწავლეებმა არ იციან განვლილი მასალა. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა მე-4, 36-ე და 54-ე საშუალო სკოლებში. შესწავლილი სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლები მცირე რაოდენობით ატარებენ სასწავლო ექსკურსიებს. 39-ე საშუალო სკოლას არც ერთი სასწავლო ექსკურსია არ ჩაუტარებია.

63-ე რუსული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლები ი. დანელია, ვ. მჭედლიშვილი და 86-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ბაბაიანი ძალზე მცირე დროს ანდომებენ ახალი მასალის ახსნას (7—10 წუთი). ამის გამო საშინაო დავალების შესრულებისათვის მოსწავლეებს მეტად დიდი დრო სჭირდებათ, რაც იწვევს მოსწავლეთა გადატვირთვას. მოსწავლეებს უჭირთ ისტორიული მოვლენების შესახებ თანმიმდევრული თხრობა, საფუძვლიანი ანალიზის გაკეთება, სუსტად იციან ქრონოლოგია და სხვ. ი. დანელია და ვ. მჭედლიშვილი სათანადოდ ვერ ფლობენ რუსულ ენას.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება გეოგრაფიის სწავლება. 39-ე (მასწავლებლები ნ. ბერიძე, მ. საღარეიშვილი), 42-ე (მასწ. ვ. ბე-

რიძე), 54-ე (მასწ. ტ. გოგოლაძე), 77-ე (მასწ. ი. კაკაბაძე) საშუალო სკოლებში არ არის გამოყოფილი ოთახი გეოგრაფიის კაბინეტისათვის. გეოგრაფია ხშირ შემთხვევაში შესაფერისი რუკის გამოუყენებლად ისწავლება, არ მოეპოვებათ პირველი რიგის ხელსაწყოები. 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებლები ნ. ბერიძე და მ. საღარეიშვილი ახალი მასალის გადაცემისას მიმართავენ ლექციურ მეთოდს. შესწავლილი სკოლების მასწავლებლები დიდ დროს უთმობენ საშინაო დავალების შემოწმებას, ახალი მასალის ახსნას კი მცირე დროს ანდომებენ, არ აწარმოებენ სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოებს და თავს არიდებენ ახალი მასალის ახსნისას ატლასზე მუშაობას, რის გამოც მოსწავლეები საფუძვლიანად არ არიან დაუფლებული რუკების კითხვასა და გეოგრაფიული ამოცანების ამოხსნას.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვას. 36-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ქ. ჭანიშვილი) ჩამოშორდა 4 მოსწავლე, 31-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. ენუქიძე) 23, 39-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ვ. თავაძე) —4, 67-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ლ. მელაძე)—5, 63-ე საშუალო სკოლას (დირექტორი მ. ფირცხალეიშვილი)—2, 86-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ი. შახრამანიანი)—8.

ზოგიერთ სკოლაში ერთფეროვანია კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო. გეგმები, ისინი არ გამოხატავენ კლასის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსსა და თავისებურებას.

54-ე საშუალო სკოლაში ხშირად აქვს ადგილი მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევებს, შემოწმების დღეს (4 დეკემბერი) X[1] კლასიდან (ხელ. ს. თაქთაქიშვილი) მესამე გაკვეთილიდან გაიპარა 10 მოსწავლე.

ხშირია საკლასო ჟურნალებში ნიშნების გადასწორებისა და ამოფხეკის შემთხვევები. მასწავლებელთა ერთ ნაწილს საკლასო ჟურნალში არ შეაქვს მიმდინარე შეფასების ნიშნები და ადგილი აქვს მიმდინარე შეფასების საფუძველზე მეოთხედური ნიშნების გამოყვანის არასწორ პრაქტიკას. საკლასო ჟურნალები მოუვლელია.

არც ერთ სკოლაში არ სრულდება განათლების სამინისტროს ბრძანება შაბათსა და უქმეების წინა დღეებში მოსწავლეთა წერითი სამუშაოებით დაუტვირთაობის შესახებ.

მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიების სამუშაო გეგმებში შეტანილი საკითხები ზოგადია. 54-ე საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიის მუშაობა ჩაშლილია. 63-ე და 86-ე საშუალო

სკოლების ისტორიისა და მშობლიური ენის და ლიტერატურის მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიები სრულ უმოქმედებას იჩენენ. ანალოგიური მდგომარეობაა მე-4 და 31-ე საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთა საგნობრივ მეთოდურ კომისიებში. არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიები უმრავლეს სკოლებში ვერ ხელმძღვანელობენ საგნის სწავლების საქმეს.

მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა ზოგიერთ სკოლაში ფორმალურ ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსწავლეთა საკმაო ნაწილი არასაპატიო მიზეზით აცდენს გაკვეთილებს, პირველ მეოთხედში არასაპატიოდ გაცდენილია მე-4 საშუალო სკოლაში 1998, 77-ე საშუალო სკოლაში—1553, 36-ე საშუალო სკოლაში—1059, 31-ე საშუალო სკოლაში—661, 42-ე საშუალო სკოლაში—972, 67-ე საშუალო სკოლაში—935, 54-ე საშუალო სკოლაში 723 გაკვეთილი.

ბევრმა სკოლამ და კლასმა დაბალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრა პირველი მეოთხედი. 67-ე საშუალო სკოლის X კლასის 101 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 52 მოსწავლე, IX კლასის 66 მოსწავლიდან—30, VII კლასის 53 მოსწავლიდან—25, 42-ე საშუალო სკოლის IX კლასის 66 მოსწავლიდან—27, 36-ე საშუალო სკოლის X კლასის 71 მოსწავლიდან—22, მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის 82 მოსწავლიდან—35, XI კლასის 102 მოსწავლიდან—34, 54-ე საშუალო სკოლის XI კლასის 75 მოსწავლიდან—27, X კლასის 76 მოსწავლიდან—34, 63-ე საშუალო სკოლის IX კლასის 88 მოსწავლიდან—34, XI კლასის 79 მოსწავლიდან—22, მე-11 საშუალო სკოლის XI კლასის 48 მოსწავლიდან—14, X კლასის 50 მოსწავლიდან—13 და ა. შ.

შესწავლილ სკოლებში მოუგვარებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები.

შემოწმებულ სკოლებში ადგილი აქვს საათების დაქუცმაცებისა და ზოგიერთი მასწავლებლის გადატვირთვის შემთხვევებს. 67-ე საშუალო სკოლაში ბიოლოგიის 2 საათი აქვს მასწ. ქ. თენეიშვილს, ისტორიის 2 საათი მასწ. კ. ცქიფურიშვილს; მე-11 საშუალო სკოლაში ფიზიკის 46 საათი ოთხ მასწავლებელზეა განაწილებული. მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ა. ქურიძეს ფიზიკაში 15 საათი აქვს. 67-ე საშუალო სკოლის ფიზიკისა და ელექტროტექნიკის მასწავლებელ თ. ავალიშვილს,, რომელიც შეთავსებით პიონერთა სასახლეშიც მუშაობს, 33 საათი კვირეული დატვირთვა აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის სკოლების დირექტორებმა:

ა) შეისწავლონ სკოლას ჩამოცილებული სასკოლო ასაკის ბავშვების მდგომარეობა და სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან უზრუნველყონ სწავლებაში მათი ჩაბმა;

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მათი პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ კაბინეტებისა და სახელოსნოების წესრიგში მოსაყვანად და შეჰქმნან პირობები სკოლაში სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის ნორმალურად წარმოებისათვის;

დ) აღკვეთონ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმების შედგენისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება;

ვ) ყურადღების ცენტრში იყოლიონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები, განახორციელონ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა მათ მუშაობაზე;

ზ) ქმედითი დახმარება გაუწიონ სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს და უზრუნველყონ მათი მომზადების დონის ამაღლება;

თ) სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა პირადი საქმეები;

ი) მომავალში არ დაუშვან ორშაბათს, შაბათსა და უქმეების წინა დღეებში მოსწავლეთა გადატვირთვის შემთხვევები.

2. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში არაობიექტურობის გამოჩენის; წერითი ნამუშევრების უყურადღებოდ გასწორებისა და მასწავლებელთა მეთოდური კომისიის მუშაობის ჩაშლისათვის 54-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ა. ძმანაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნეს, რომ თუ იგი უახლოეს დროში არ გარდაქმნის მუშაობას მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

3. მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო მიეთითოთ:

მშობლიური ენისა და ლიტერუტურის მასწავლებლებს—მ. კუხალეიშვილს (მე-4 საშ. სკ.), ნ. გედევანიშვილს (54-ე საშ. სკ.) მ. ლაშაურს, თ. მდივანს (31-ე საშ. სკ.), ლ. ცინცაძეს (63-ე საშ. სკ.), ვ. სარიბეგოვს, ვ. სარქისოვს, (86-ე საშ. სკ.); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—ც. ჩახნაშვილს (54-ე საშ. სკ.), თ. კან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დელაკს (42-ე საშ. სკ.), უცხო ენების მასწავლებლებს—ვ. შოშვილს, მ. შათაშვილს (77-ე საშ. სკ.), ლ. ლეონიძეს (39-ე საშ. სკ.); მათემატიკის მასწავლებლებს—შ. ანდრიაძეს, პ. სვანიძეს (42-ე საშ. სკ.), შ. გალდავაძეს (54-ე საშ. სკ.), ა. მხითარიანს (86-ე საშ. სკ.), ლ. მარტიროსიანს (66-ე საშ. სკ.), ა. მხითარიანს (86-ე საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლებს—ე. ბახტაძეს (54-ე საშ. სკ.), ს. ცაგურიშვილს (42-ე საშ. სკ.); პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებლებს—ვ. თაბუკაშვილს (მე-4 საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებელს—მ. გოგიბერიძეს (31-ე საშ. სკ.), ა. ჯალაღანიას (39-ე საშ. სკ.); ბიოლოგიის მასწავლებელს—ლ. ჯიქიას (54-ე საშ. სკ.), რ. ბახანაშვილს (67-ე საშ. სკ.), რ. გაჩეჩილაძეს (66-ე საშ. სკ.).

4. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს 54-ე საშუალო სკოლის დირექტორს ვ. სიჭინავას და სასწავლო ნაწილის გამგეს კ. ხიდაშელს.

5. ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ჩააბან დაუსწრებელ სწავლებაში ის მასწავლებლები, რომელთაც უმაღლესი განათლება არა აქვთ;

ბ) აღრიცხონ სკოლებში ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ დახელოვნებას საჭიროებენ და უზრუნველყონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საკურსო ღონისძიებებში მათი ჩაბმა.

6). ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ.. თ. მათიაშვილმა:

ა) დააზუსტოს სკოლებში მასწავლებელთა შორის საათების დაქუცმაცების, მასწავლებელთა გადატვირთვის შემთხვევები და დროულად გაატაროს საჭირო ღონისძიებანი;

ბ) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა ქ. თბილისის ყველა სკოლების დირექტორების თათბირზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) გადასინჯოს 54-ე საშუალო სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობა და მომავალი სასწავლო წლისათვის გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ამ სკოლის მასწავლებელთა კოლექტივის გასაძლიერებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სასწავლო წლის ბოლოს მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 27 დეკემბრის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1868

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 31 დეკემბერი

ქ. ქუთაისის სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ებ

გავეცანი რა ქ. ქუთაისის სკოლებში უცხო ენების სწავლების დაყენების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ინგლისური ენის სწავლება სათანადო სიმაღლეზე დგას 21-ე საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. იაკობიშვილი). ამ სკოლის V და XI კლასების მოსწავლეებს აქვთ სიტყვათა საკმაოდ მდიდარი მარაგი, საფუძვლიანად აქვთ შეთვისებული გავლილი ტექსტობრივი და გრამატიკული მასალა, სწორად პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე. მასწავლებელი ლექსიკისა და ანბანის განმტკიცების მიზნით მოხდენილად იყენებს თვალსაჩინოებას (მოძრავი ანბანი, სურათები) და დიდ ყურადღებას აქცევს საკლასო-საშინაო წერებს, რის შედეგად მოსწავლეების წერის კულტურა მაღალ დონეზე დგას.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ფრანგული ენის მასწავლებელი თ. სეფიაშვილი (მე-12 საშ. სკოლა) და ინგლისური ენის მასწავლებელი ლ. მარგველაშვილი (მე-3 საშ. სკოლა). ისინი მოსწავლეებს ოსტატურად აწვდიან ახალ მასალას; ასახსნელი ტექსტის შინაარსს მოუთხრობენ მოსწავლეებს უცხო ენაზე, წერენ დაფაზე ახალ სიტყვებს და ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით მოსწავლეები აგებენ წინადადებებს რის შედეგად ტექსტობრივი მასალა მოსწავლეთათვის ადვილად დასაძლევია.

დამაკმაყოფილებელია გერმანული ენის მასწავლებლების გ. თვალთვაძის (მე-19 საშ. სკოლა), დ. ჩხიკვიშვილის, ვ. გაგულაშვილის (მე-18 საშ. სკოლა), თ. ნებიერიძის (მე-10 საშ. სკოლა), ს. ციციაშვილის (22-ე საშ. სკოლა), ნ. ხობუას (მე-8 საშ. სკოლა), ინგლისური ენის მასწავლებლის რ. მეძმარიაშვილის (მე-2 საშ. სკოლა), ფრან-

გული ენის მასწავლებლის ს. ბიბიჩაძის (მე-4 საშ. სკოლა) მუშაობა. ეს მასწავლებლები კარგად ფლობენ ენას და გულდასმით ემზადებიან გაკვეთილისათვის, მაგრამ გაკვეთილის ჩატარების პროცესში მათ გააჩნიათ მეთოდური ხასიათის ხარვეზები, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნაზე. სახელდობრ, ისინი ნაკლებად იყენებენ დაფას გამოკითხვისა და ახსნის პროცესში, მაღალ კლასებში (VIII—XI)არ აწარმოებენ სალექსიკონო მუშაობას და ახსნით კითხვას, რის გამოც ამ კლასების მოსწავლეებს უჭირთ ტექსტის დამოუკიდებლად თარგმნა.

ნაყოფიერ კლასგარეშე მუშაობას ატარებენ ნ. იაკობაშვილი, თ. სეფიაშვილი, ს. ციციაშვილი. აღნიშნულ მასწავლებლებს სკოლაში ჩამოყალიბებული აქვთ სასაუბრო და მთარგმნელთა წრეები, რომლებშიც გაერთიანებულია VIII—XI კლასების მოსწავლეები. წრეების მიერ გამოშვებულია კედლის გაზეთი და ჟურნალები. ჟურნალებში მოთავსებულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული თარგმანები, აწყობენ დილა-საღამოებს უცხო ენაზე. რაზმის შეკრება თემაზე—უკეთ შევისწავლოთ ინგლისური ენა—მზადდება 21-ე საშ. სკოლაში. ამავე სკოლაში მასწავლებლის ინიციატივით სკოლის ბიბლიოთეკისათვის შეძენილია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე.

სკოლების ხელმძღვანელობა სათანადო მეთოდურ დახმარებასა და კონტროლს უწევს უცხო ენების მასწავლებლებს. მე-2 საშ. სკოლის დირექციამ (დირექტორი ი. გენძეხაძე, სასწ. ნაწილის გამგეები ნ. ქუთათელაძე, ს. ჭუმბურიძე) შეამოწმა უცხო ენების სწავლების მდგომარეობა და მიიღო ბრძანება მისი სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მე-12 საშუალო სკოლის დირექციამ (დირექტორი ე. თავაძე, სასწ. ნაწ. გამგე კ. ლორთქიფანიძე) უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ბრძანებით გამოუცხადა მადლობა კარგი მუშაობისათვის ფრანგული ენის მასწავლებლებს თ. სეფიაშვილსა და ქ. ცაგარეიშვილს.

ქალაქის განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას აქცევს სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობას. მას მასწავლებელთა აქტივის გამოყენებით სექტემბრიდან დღემდე შემოწმებული აქვს 9 საშუალო სკოლის უცხო ენის მასწავლებელთა მუშაობა. საკითხი გერმანული ენის მასწავლებელ დ. სვანიძისა და ქს. აფხაიძის სუსტი მუშაობის შესახებ მოსმენილი იქნა ქალაქის აღმასკომის სხდომაზე და დაედოთ სათანადო სასჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ენების სწავლების საქმეში ქ. ქუთაისის რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს მე-5 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი მ. ბალანჩივაძე (დამთავრებული აქვს ქ. ქუთაისის პედინსტიტუტის უცხო ენების 2 წლიანი კურსები 1946 წ.), მე-7 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწ. გ. შენგელია (არასპეციალისტი), მე-11 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ნ. სანებლიძე (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედინსტიტუტის უცხო. ენების 2 წლიანი კურსები 1943 წ.), ე. არსენიძე (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტი 1953 წ.), მე-7 საშ. სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ნ. გამყრელიძე (დამთ. აქვს ქუთაისის პედინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტი 1952 წ.), მე-4 საშ. სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელი ნ. თორაძე (დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის 2-წლიანი ინსტიტუტი).

ეს მასწავლებლები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, არ არიან დაუფლებული ენას და სისტემატურად არ მუშაობენ თავიანთ თავზე. შეცდომებით კითხულობენ და თარგმნიან ტექსტებს, ზერელედ ხსნიან გრამატიკულ მასალას, უფერულად ატარებენ გაკვეთილებს.

ფრანგული ენის მასწავლებელმა ნ. თორაძემ მე-11 კლასში ახალი ტექსტის კითხვისა და კლასისადმი კითხვების დასმის პროცესში დაუშვა ენობრივი და ფონეტიკური შეცდომები. გერმანული ენის მასწავლებელი მ. ბალანჩივაძე სუსტად ფლობს ენას. მე-9 კლასში მას გაუჭირდა ახალი ტექსტის თარგმნა, მისმა მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს გავლილი მასალის სრული უცოდინარობა.

მასწ. გ. შენგელია მეთოდურად არასწორად წარმართავს გაკვეთილებს, უშვებს ენობრივ შეცდომებს, არ აბამს კლასს მუშაობაში, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

ინგლისური ენის მასწავლებელი ე. არსენიძე ინდივიდუალური გამოკითხვისას მხოლოდ კითხვით კმაყოფილდება, უგულებელყოფს თარგმნას, მოსწავლეებს არასწორად უხსნის გრამატიკულ მასალას, უყურადღებოდ ტოვებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, არ აწარმოებს საკლასო საშინაო წერებს და სალექსიკონო მუშაობას, მოსწავლეებს არა აქვთ ინგლისური ენისათვის განკუთვნილი რვეულები, საკონტროლო სამუშაოებში შეუმჩნეველია უამრავი შეცდომა და შეფასებულია ნაშრომები ლიბერალურად. მასწავლებლის უპა-

სუხისმგებლობაზე მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ის საერთოდ არ ადგენს გაკვეთილის გეგმას.

ინგლისური ენის მასწავლებელი ნ. სანებლიძე ვერ ფლობს ენას. მასწავლებელმა არ იცის კითხვის ელემენტარული წესი, უშვებს უხეშ შეცდომებს, არა სვამს სწორად მახვილებს, ვერ ერკვევა არაწესიერ ზმნათა მთავარ ფორმებში, ტექსტს თარგმნის არასწორად, არ იყენებს დაფას, არ ატარებს საკლასო წერებს.

გერმანული ენის მასწავლებელი ლ. კორძაძე (მე-8 საშ. სკოლა), რომელიც კარგად ფლობს ენას, არაგულისხმიერად ეკიდება დაკისრებულ საქმეს, მოსწავლეებს არ უყენებს მკაცრ მოთხოვნას, რის შედეგადაც გავლილი მასალის სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს მე-10-11 კლასების მოსწავლეებმა; მათ უჭირთ ტექსტის კითხვა და თარგმნა, სუსტად იციან ზმნის ძირითადი ფორმები.

არ არის ჩამოყალიბებული უცხო ენების მეთოდკომისია მე-11 საშ. სკოლაში, მაშინ როცა სკოლაში უცხო ენის ოთხი მასწავლებელია. რიგ სკოლებში, სადაც 2 უცხო ენის მასწავლებელია, ისინი არ არიან გაერთიანებული ციკლობრივ კომისიებში.

ქალაქში არ არის პედკაბინეტი, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს ქალაქის სკოლების უცხო ენების მასწავლებლებს.

სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი ინგლისური და ფრანგული ენების სახელმძღვანელოებით და თვალსაჩინოების მასალებით. სასკოლო ბიბლიოთეკებში არ არის ლექსიკონები და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებამ სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიოს სკოლებში უცხო ენების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს. მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების მიზნით მოაწყოს ლექცია-მოხსენებები, საქალაქო ღია გაკვეთილები და მათი საჯარო განხილვა.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა მეტი დახმარება და კონტროლი განახორციელონ ბრძანებაში დასახელებული სუსტი მასწავლებლების მუშაობაზე. სწორად წარმართონ უცხო ენების მეთოდკომისიების მუშაობა. უცხო ენების საათები გაანაწილონ ისე, რომ მოსწავლეს ერთი მასწავლებელი მიჰყვებოდეს მე-5 კლასიდან დამთავრებამდე.

3. უცხო ენების მასწავლებლებმა გულდასმით და სისტემატურად მოამზადონ გაკვეთილები, გრამატიკული მოვლენის განხილვისას მოახდინონ შედარება და დაპირისპირება მშობლიური ენის გრამატიკულ მოვლენებთან, სერიოზული ყურადღება მიაქციონ ზეპირმეტყველების ჩვევების განვითარებას, სალექსიკონო მუშაობას, თარგმნასა და წერით ვარჯიშს, საკლასო-საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოები ჩაატარონ დროულად და მაღალხარისხოვნად, გულდასმით გაასწორონ და შეაფასონ ობიექტურად, გაკვეთილი წარმართონ ძირითადად უცხო ენაზე, შექმნან უცხო ენების შემსწავლელი წრეები, მოაწყონ დილა-საღამოები უცხო ენაზე.

4. საქმისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სუსტი მუშაობისათვის მიეთითოთ ინგლისური ენის მასწავლებლებს ე. არსენიძეს, ნ. სანებლიძეს (მე-11 საშ. სკ.), ნ. გამყრელიძეს (მე-7 საშ. სკ.), გერმანული ენის მასწავლებლებს გ. შენგელიას (მე-7 საშ. სკ.), მ. ბალანჩივაძეს (მე-5 საშ. სკ.), ფრანგული ენის მასწავლებელს ნ. თორაძეს (მე-4 საშ. სკ.) და გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ ისინი დროულად არ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

5. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) და კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) შეისწავლონ მასწავლებელთა დახელოვნების ინტიტუტის ქუთაისის ფილიალისათვის უცხო ენების მეთოდისტის საშტატო ერთეულის გამონახვის საკითხი და თავიანთი დასკვნა წარმოადგინონ 2 კვირის ვადაში.

6. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლები თვალსაჩინოების მასალებით უცხო ენებში.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე, რომ ბიბკოლექტორმა დააკომპლექტოს სასკოლო ბიბლიოთეკები ლექსიკონებითა და უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით.

8. ქალაქის განათლების განყოფილებამ განიხილოს ეს ბრძანება სკოლების ხელმძღვანელთა და უცხო ენების მასწავლებელთა თათბირზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მისი შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. გურჯულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1872

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 31 დეკემბერი

ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ

ნორჩ ქიმიკოსთა და ნორჩ ფიზიკოსთა მე-12 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 64 რაიონისა და ქალაქის 779 შვიდწლიანი და საშუალო სკოლის 32168 მოსწავლემ. აქედან პირველ ტურში მონაწილეობდა 17961 ნორჩი ფიზიკოსი და 14207 ნორჩი ქიმიკოსი, მეორე ტურში—10628 ნორჩი ფიზიკოსი და 8592 ნორჩი ქიმიკოსი, მესამე ტურში—6349 ნორჩი ფიზიკოსი და 5482 ნორჩი ქიმიკოსი. სამივე ტურის შედეგად წარმატება მოიპოვა 753-მა ნორჩმა ფიზიკოსმა და 892 ნორჩმა ქიმიკოსმა.

როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების რეცენზიებიდან ჩანს, ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადა უფრო ორგანიზებულად ჩატარდა. ოლიმპიადამ ძირითადად ხელი შეუწყო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გატარებას, ფიზიკის და ქიმიის სწავლების გაუმჯობესებას, ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული მუშაობის ფართოდ გაშლასა და მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას.

ოლიმპიადის ჩატარებას წარმატებით უხელმძღვანელეს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის (მონაწილეობდა 3634 მოსწავლე), ქ. თბილისის (4092 მოსწავლე), ქ. ქუთაისის (1301 მოსწავლე), ლაგოდეხის (1238 მოსწავლე), ხაშურის (743 მოსწავლე), ქარელის (839 მოსწავლე), ზუგდიდის (628 მოსწავლე), ახალციხის (531 მოსწავლე), სიღნაღის (1432 მოსწავლე) და სხვა რაიონების სკოლებმა.

ოლიმპიადაში მოსწავლეთა დიდი რაოდენობის ჩაბმითა და კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ ქ. თბილისის 98-ე; ქუთაისის მე-11, მე-18 და 21-ე; ქ. სოხუმის მე-7 და მე-8; ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის და დაბლაციხის; ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს; გურჯაანის ქალაქის საშუალო; წულუკიძის მე-2 და მათხოჯის; სამტრედიის 1-ლი; გუდაუთის მე-2; დუშეთის რაიონის ფასანაურისა და სხვ. სკოლები.

გასულ წლებთან შედარებით მოსწავლეთა ნამუშევრები უკეთ არის შესრულებული და მასწავლებლების მიერ მეტი პასუხისმგებლობითაა შემოწმებული.

დიპლომებით დაჯილდოების ღირსნი არიან მოსწავლეები: ნ. ბურჭაძე (ქ. ჭიათურის მე-3 საშ. სკოლა); ე. ახვლედიანი (ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა); ლ. კრილოვა (ქ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლა); ა. კოტელევსკი (სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა); ჰ. ბალანტუზიანი (ქ. ბათუმის მე-12 საშუალო სკოლა); ჰ. ტერზიანი (გაგრის რაიონის განათლების საშუალო სკოლა); ლ. ქავთარაძე (ვანის რაიონის შუაგორის საშუალო სკოლა); ზ. პოტომანოვა (სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა); ე. ნაკაიძე (ბოლნისის საშუალო სკოლა); ა. კალანდარიშვილი (მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლა); ლ. მაისურაძე (თელავის მე-4 საშულაო სკოლა); ლ. თოროზოვი (ქ. გორის 1-ლი საშუალო სკოლა); ნ. შეყრილაძე (თერჯოლის რაიონის თუზის საშუალო სკოლა); ე. ცხოვრებაძე (ხაშურის რაიონის ვაყის საშუალო სკოლა); ე. ხუციშვილი (ქუთაისის რაიონის ქვედა სიმონეთის საშუალო სკოლა); ნ. ბერეკაშვილი (ტყიბულის რაიონის კურსების საშუალო სკოლა) და მრავალი სხვა.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებისა ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რიგი რაიონების განათლების განყოფილებები, საგნის მასწავლებლები და ოლიმპიადის ადგილობრივი ხელშემწყობი საბჭოები ისევ ფორმალურ და ზერელე დამოკიდებულებას იჩენენ ოლიმპიადისადმი. არღვევენ დებულებას. ადგილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებას და ნამუშევრების დაუმსახურებლად, განათლების განყოფილების გამგეების ხელმოწერის გარეშე, საორგანიზაციო კომიტეტში გადმოგზავნას.

მოსწავლეთა ნამუშევრების რეცენზირებით დასტურდება, რომ რიგი რაიონების სკოლებში მოსწავლეთა შორის არ არის დანერგილი

პრაქტიკული მუშაობის ჩვევები. რის გამო მოსწავლეები ვერ ამ-ყლავნებენ ფიზიკისა და ქიმიის საფუძვლიან ცოდნას.

ქ. თბილისის 27-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები დამოუკიდებლად არ არის შესრულებული. მოსწავლეთა ამოხსნები ერთნაირ შეუსაბამო და არა ზუსტ გამოთქმებს შეიცავს. ასეთივე მდგომარეობაა მე-19 საშუალო სკოლაში, ფიზიკაში სამივე ტურის ამოცანა არ არის ამოხსნილი, მაგრამ მასწავლებლის მიერ შეფასებულია ქულების მაქსიმალური რაოდენობით.

ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლის ოლიმპიადის ჩამტარებელი კომისიის მიერ გადმოგზავნილი მასალა შეუმოწმებელი და ხელმოუწერელია.

ქ. ბათუმის მე-10 და მე-11 საშუალო სკოლების მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში ძალზე დაბალია, სუსტია პრაქტიკული ცოდნა-ჩვევების დანერგვის საქმე ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლაში. აქ მოსწავლეებმა არ იციან აკუმულატორის დამუხტვა და ვერ ერკვევიან სითბო გამტარობის მოვლენებში.

ოლიმპიადის ჩატარების მთავარ ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ადგილობრივი ხელშემწყობი საბჭოებისა და კომისიის წევრთა გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, მოსწავლეებს ფართე გასაქანი ეძლევათ ნამუშევრების ერთიმეორისაგან გადასაწერად. სკოლის დირექტორები და ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები, რომლებსაც ძირითადად მინდობილი აქვთ ამ ღონისძიების ადგილზე ჩატარება, არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ამ მანკიერი ჩვევის აღსაკვეთად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი 1.781 მოსწავლის დიპლომებით დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს; მათ შორის: 1-ლი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდეს ფიზიკაში 47 მოსწავლე, ქიმიაში 119 მოსწავლე; მე-2 ხარისხის დიპლომით—ფიზიკაში 431 მოსწავლე, ქიმიაში 388 მოსწავლე; მე-3 ხარისხის დიპლომით—ფიზიკაში 421 მოსწავლე, ქიმიაში 375 მოსწავლე.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ ოლიმპიადებისა და სხვა რესპუბლიკური ღონისძიებების ყოველწლიურად მოწყობა იწვევს მოსწავლეების და მასწავლებლების გადატვირთვას, ნორჩ ფიზიკოსთა და

ნორჩ ქიმიკოსთა მორიგი მეცამეტე რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდეს 1958/59 სასწავლო წელს.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე): ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმოადგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დასამტკიცებლად დებულება ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მეცამეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის მოწყობის შესახებ, დაამყაროს სათანადო კავშირი ი. ბ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკისა და ქიმიის კათედრებთან და უზრუნველყოს ამ საქმეში მეცნიერ-მუშაკებისა და მეთოდისტების სისტემატური მონაწილეობა.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა სექციებზე განიხილონ ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები და დასახონ ღონისძიებანი ქიმიასა და ფიზიკაში მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა